ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 10 ნოემბრის №01/302556 წერილი (თან ერთვის), სადაც დასმულია საკითხი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2015 წლის 02 ივლისს გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის (ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურება 2016 წლის 31 დეკემბერს) 2047 წლის 01იანვრამდე გაგრძელების თაობაზე.

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს ,,საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისათვის“. პროექტის ფარგლებში სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შორის გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე უძრავ ქონებაზე (ს/კ – 28.09.25.050). შედეგად, სააგენტომ გაარემონტა აღნიშნული შენობა და განათავსა და აღჭურვა საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც 2015 წლის თებერვლიდან ფუნქციონირებს.

ზემოხსენებულ წერილში ასევე აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი ცენტრების პროექტის პირველი და მეორე ფაზების განხორციელების და მიღებული გამოცდილების შედეგად, აღნიშნული ცენტრების ერთიანი სტანდარტით და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციონირების კოორდინირება სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტოს უშუალო მმართველობის ქვეშ ხდებოდეს.

გამომდინარე აქედან და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით, მოსახლეობას საშუალება აქვს ისარგებლოს: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, სსიპ ,,საქართველოს ეროვნული არქივის“, სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ და შ.პ.ს. ,,მექანიზატორის“ სერვისებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2015 წლის 02 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ 315.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.09.25.050) გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2047 წლის 01 იანვრამდე გახანგრძლივების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებული კომპეტენციით, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულო გასცემს თანხმობას შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიმართ მუნიციპალიტეტის ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით ფორმებით უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ვალერი ყაჭეიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **ირაკლი კუჭავა**